ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № _12-36

“ _13_ ” _მაისი_ _ _ 2015 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში და დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის“ მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. შესაბამისი რაიონის გამგეობის მიერ, ფულადი დახმარება ერთჯერადად, საოჯახო ნივთების შესაძენად, 1-2 წევრიანი ოჯახისთვის 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო 3 (სამი) და მეტ წევრიანი ოჯახისთვის 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, ასევე მიეცემათ სტიქიის არეალში მდებარე უძრავი ქონების დამქირავებლებს,

რომლებიც ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე, არ ითვლებიან დაზარალებულ პირებად, თუმცა 13-14 ივნისის სტიქიის დროს დაეკარგათ/დაუზიანდათ მათ მფლობელობაში არსებული მოძრავი ქონება/ნივთები და აღნიშნული ჩანაწერის ამოქმედების დროისთვის იდენტიფიცირებულნი არიან შესაბამისი გამგეობის მიერ.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**